საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/18

ქ. ბათუმი --05-------- თებერვალი, 2021 წ.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N01-02/16 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის განისაზღვროს შიდა მობილობის შემდეგი ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2021 წლის 20, 21, 22, 23 თებერვლის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე -portal.bsu.edu.ge/;

ბ) კრედიტების აღიარება - 2021 წლის 26 თებერვალი ;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე სტუდენტთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2021 წლის 27 თებერვალი, 1, 2 მარტი;

დ) ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნა - 2021 წლის 9 მარტი;

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.

3. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სტუდენტურ პორტალზე განთავსება.

6. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**